ჯიუდლიტელი

ეფესელების სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№2 (44) თებერვალი 2011 წელი

წმ. მოციქულთა სამგზავრო სამსახურებელი (ხელოვნა)

დიმიტრი გუჩუა და აფხაზეთის ისტორიის საკითხები

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

დიმიტრი გულია და აფხაზეთის ისტორიის საკითხები

ხალხმრავლობა იყო 21 თებერვალს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზას“ საკონფერენციო დარბაზში. აქ შეიკრიბა აფხაზეთის ინტელიგენცია და სამეცნიერო ელიტა. შეკრების მიზანი უკვე ტრადიციად ქცეული დიმიტრი გულიას დაბადების დღის აღნიშვნა იყო. საღამოს დაწყებისთანავე საზოგადოებამ სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბასა და ექიმ ზურაბ ჩიქოვანს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდო — წმ. გიორგის ოქროს ორდენი მიულოცა.

დიმიტრი გულიას მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა საშუალებას იძლევა, რომ ყოველ წელს სხვადასხვა კუთხით გაშუქდეს მისი ცხოვრება და შემოქმედება. ამჯერად საღამო დაეთმო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა ნაშრომებს და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრებს. მომხსენებელთა შერჩევა ითავა პროფესორმა **ოთარ ჟორდანიამ**, რომელმაც წინა წლებშიც არაერთგზის მიიღო მონაწილეობა ამ თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. მასვე ეკუთვნოდა ძირითადი მოხსენება: „დიმიტრი გულია და აფხაზეთის ისტორიის საკითხები“. მან აღნიშნა, რომ დიმიტრი გულიამ პირველმა მიაწოდა აფხაზ საზოგადოებას მშობლიურ ენაზე ცნობები ისტორიული წარსულის შესახებ: „დიმიტრი გულიას ნაშრომთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია 1925 წელს თბილისში დასტამბულ „აფხაზეთის ისტორიას“, რომელიც წარმოადგენს პირველ განმაზოგადებელ ნაშრომს აფხაზეთის ისტორიის კარდინალურ საკითხებზე უძველესი დროიდან მე-10 საუკუნემდე. ნაშრომი დაწერილია სხვადასხვა წყაროს, მდიდარი ლინგვისტური, ტოპონიმური, უპირველესად, აფხაზური ენობრივი და სხვა სახის მასალის ანალიზის საფუძველზე. ნაშრომი გამოქვეყნებამდე გახდა აფხაზურ საზოგადოებაში ფართო განხილვის საგანი. მასში ძირითადი აქცენტი გაკეთდა აფხაზთა ეთნოგენეზისის პრობლემაზე. მკვლევარი ცდილობდა დაესაბუთებინა ჰეროდოტეს ცნობა კოლხების ეგვიპტური წარმომავლობის შესახებ, ხოლო აფხაზები წარმოეჩინა, როგორც კოლხური ოჯახის ნაწილი“. **ოთარ ჟორდანიამ** ისაუბრა დიმიტრი გულიას, როგორც ეთნოლოგის, დამსახურებაზე და ბოლოს დასკვნის სახით დასძინა: „შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიმიტრი გულიამ თავისი საისტორიო ხასიათის შრომებით ხელი შეუწყო აფხაზური ისტორიული აზროვნების შემდგომ განვითარებას, პირველადი ეთნოგრაფიული მასალის შეკრებითა და სამეცნიერო დაკვირვებებით გაამდიდრა აფხაზური ეთნოლოგია, გააღვივა საზოგადოების ინტერესი აფხაზეთის ისტორიული წარსულის, რეგიონის დანარჩენ საქართველოსთან, აგრეთვე, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან ურთიერთობის კვლევის საქმეში“.

„ვეფხისტყაოსნის“ გულიასეულ თარგმანებზე ისაუბრა პროფესორმა **მარინე ჯაიანმა**. პოეტის როლი და ადგილი აფხაზეთის ცხოვრებაში განსაზღვრა პროფესორმა **ჯამბულ ანჩაბაძემ**. გულიას როლსა და მნიშვნელობას შეეხო, აგრეთვე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი **ჯონი აფაქიძე**.

დამსწრე საზოგადოება შემოქმედებით ტალღაზე გადაიყვანა თავისი ჩანახატით პროფესორმა **მედეა კვარაცხელიამ**. მან გაიხსენა 1974 წლის 6 მარტს მაქსიმ გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული და რუსული ლიტერატურის კათედრების მიერ ახალსოფლის (სოხუმის რაიონი) საშუალო სკოლაში ჩატარებული დიმიტრი გულიასადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ ოთარ ჭურღულია, ბორის გურგულია, აბესალომ გადილია, რევაზ სალია, ზეინაბ სარია, სვეტლანა კვიკვინია, მედეა გადილია, რუსუდან წურწუმია, ჯულიეტა ყოლბაია, სამი აფხაზი ჭაბუკი და თავად ავტორი. ღონისძიება საინტერესო იყო, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი, ავტორის აზრით, ოთარ ჭურღულიასა და ბორის გურგულიას გარემოცვაში გატარებული ხუთი საათი იყო. „ყველაფერი ჩაბარდება წარსულს. მე მხოლოდ ეს ჩანაწერი გამახსენებს ამ დღის წუთებსა და

(გაგრძელება მე-4 გვ.)

დიმიტრი გულია და აფხაზეთის ისტორიის სკოლიოზები

(დასაწყისი მე-3 გვ.)

წამებს და ქართველ-აფხაზის მიერ შესრულებულ ტკბილ მეგრულ სიმღერას — „ასე ჩონგური ქობთქუათი“. ნეტავ, მალე დადგეს ის დრო, როცა აფხაზები და ქართველები ისევ ერთად ავახმიანებთ ჩონგურზე ჩვენს ტკივილსა და სიხარულს“ — სევდანარევი მონატრებით დაასრულა მან თავისი სიტყვა.

თავისი პოეტური ქმნილებები გაგვაცნეს პოეტებმა **მანონ ბულისკერიამ** და **რობერტ მესხმა**. დარბაზში გამეფებულმა შემოქმედებითმა ატმოსფერომ მოგონებების განწყობა შეუქმნა დამსწრეებს. მშობლიური კუთხის მონატრებით გამსჭვალული საკუთარი ლექსები წაიკითხეს **ზურაბ ჩიქოვანმა**, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **ელგუჯა გვაზავამ**.

ასე დასრულდა საღამო. დამსწრეები დარბაზის დატოვებას არ ჩქარობდნენ და მადლიერების გამომხატველ სიტყვებს არ იშურებდნენ სულიერებისა და კულტურის ცენტრის მიმართ ამ კარგი ტრადიციის დამკვიდრებისათვის.

ჯუალთაბილი შეხვედრა

ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ 27 იანვარს გამოეხმაურა შობის ბრწყინვალე დღესასწაულის ღამეს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ წმ. გიორგის ორდენით დაჯილდოვების ფაქტს და შეხვედრა მოუწყო დაჯილდოვებულ ქალბატონებს: პოეტ მზია ხეთაგურსა და მუსიკისმცოდნე სვეტლანა ქეცბას.

„ჩვენ ყოველთვის ძალიან გვიხარია ჩვენს მეგობრებთან შეხვედრა, — ამ სიტყვებით მიმართა ასოციაციის თავმჯდომარე **მაია კვეზერელი-კოპაძემ** სტუმრებს. — მიზეზი დღევანდელი შეხვედრისა გახლავთ ის დიდი მოვლენა, რომელიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, და თქვენთვის მით უფრო, როდესაც თქვენ გაიგეთ, რომ ჩვენთვის უსაყვარლესი, უდიდესი ადამიანი, უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი თქვენ გაჯილდოვებდათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდესი ჯილდოთი – წმ. გიორგის ოქროს ჯვრით. როდესაც ტელევიზიით გამოაცხადეს ქალბატონი სვეტლანა ქეცბა, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მარტო იმიტომ არა, რომ როგორც პიროვნებას, დიდ პატივს ვცემ. იმიტომაც, რომ იგი აფხაზეთთან, სოხუმთან არის დაკავშირებული. ჩემთვის ყველა ეს ადამიანი ძვირფასია, იმიტომ, რომ ჩემი მშობლები დიდხანს მუშაობდნენ და ცხოვრობდნენ აფხაზეთში, თითქმის 18 წელიწადი, ექიმები არიან და დღესაც ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავთ აფხაზეთიდან და როდესაც მათ გაიგეს, რომ პატრიარქმა ასეთი დიდი ჯილდო გადასცა ამ ღირსეულ ქალბატონს სვეტლანა ქეცბას, ძალიან გაუხარდათ. ამისთვის დიდი მადლობა გადავუხადოთ უწმიდესს, რომ იცის ადამიანების დაფასება, ღირსეულს ღირსეულად მიაგებს ყოველთვის. ქალბატონ სვეტლანას აფხაზეთში და შემდეგ თბილისშიც ძალიან მძიმე დროს მოუწია კულტურის მინისტრობა.

სვეტლანა ქეცბა:

– ეს მართლაც ძალიან მძიმე პერიოდი იყო. უცნაური ომი გამოვიარეთ. გერმანიასთან ომის დროს პატარა ვიყავი და მახსოვს, როდესაც თვითმფრინავები მოგვიახლოვდებოდა, გვაფრთხილებდნენ და ყველა თავშესაფარში ჩადიოდა. ახლა არავინ არავის აფრთხილებდა. საშინელება იყო. ბევრი ემსხვერპლა დაბომბვას. მე მაშინ ხსნის კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი. ჩვენ დეპეშებს ვგზავნიდით ყველა სახელმწიფოში, რომ შეწყვეტილიყო ეს საშინელება, მაგრამ სანამ სოხუმი არ აიღეს, არავინ დამშვიდდა. ამისი გახსნებაც კი მძიმეა.

მაია კვეზერელი:

— ქალბატონო სვეტლანა, თქვენ რომელი გზით გამოხვედით სოხუმიდან, უღელტეხილით?

სვეტლანა ქეცბა:

– არა, მე საერთოდ არ მინდოდა გამოსვლა. გვამშვიდებდნენ, ყველაფერი კარგად იქნებაო. ჩვენს სახლს ერთი მხრიდან ეკვროდა ცნობილი ქართული პირველი საშუალო სკოლა, რომელიც მუდმივ სამიზნეს წარმოადგენდა, ხოლო მეორე მხრიდან მე–4, შემდგომში მე–7 საშუალო სკოლა, რომელიც, არ ვიცი, ვისი ბრძანებით, იარაღის საწყობად ექციათ. იქიდანაც ისროდნენ ჭურვებს და მთელი ცა ათასობით ნაპერწკლით იფარებოდა. 27 სექტემბერს მე და ჩემი და მთელი ღამე დავრბოდით. მე ვეძებდი რაულ ეშბას, ვერ ვიპოვე. შემდეგ დავურეკე მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს დეპუტატ აკაკი გასვიანს. მან მითხრა, სანამ გზა ჯერ კიდევ თავისუფალია, სასწრაფოდ წადი ქალაქიდანო. ჩვენში, როგორც ჩანს, რაღაც გენი დევს. ბიძაჩემი მეორე მსოფლიო ომის დროს ჰოსპიტლის ხელმძღვანელი იყო ქერჩში, ექიმი, ყველას ევაკუაცია მოახერხა, თვითონ კი დარჩა, რადგან შესაბამისი ბრძანება არ ჰქონდა. მეც ასე ვარ. აკაკის, რომელიც მაშინ კულტურის სამინისტროს კურირებდა, ასე გადაწყვეტით რომ არ ეთქვა, ალბათ, მე დღეს თქვენ გვერდით არ ვიქნებოდი. ჩამსვეს მეზობლის მანქანაში, არც ვიცოდი, სად მივდიოდი. ჩემი შვილი, რძალი და შვილიშვილი გულრიფშში იყვნენ ჩარჩენილები. როდესაც მათთან მივედით, მათ უკვე იცოდნენ, რომ გემები გადიოდა. ეს ბოლო დღე იყო. გემისადგომზე უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. ყველას რაღაც ბარგი ჰქონდა. მე მეგონა, პატარა კატარღებით უნდა გავსულიყავით, მაგრამ, თურმე, ამ პატარა კატარღებს დიდ გემამდე მივყავდით. და აი, როდესაც ეს ხალხი კატარღებს მიაწყდა, გამოჩნდნენ თვითმფრინავები და დაიწყეს სროლა. რძალმა მითხრა, არ დავიშალოთ, გუშინაც ასე იყო, მერე ხალხი შეთხელდა და ცოტა წინ წავიწიეთო. განსაკუთრებით დამამახსოვრდა, რომ ადამიანები ეცემოდნენ, ეჯახებოდნენ ყუთებს, მაგრამ არავის არავინ გადაუთელავს, პირიქით, ეხმარებოდნენ ერთმანეთს. როდესაც ჩვენი კატარღა გემს მიუახლოვდა, ისე ავღელდი, ნაბიჯი ვერ წავდგი წინ. მაშინ გემიდან

(გაგრძელება მე-5 გვ.)

(დასაწყისი მე-4 გვ.)

გამოცვივდნენ ახალგაზრდები და ამიყვანეს. მე და ჩემი რძალი ერთ გემზე აღმოვჩნდით, მაგრამ ჩემი ვაჟი და შვილიშვილი არ ჩანდნენ. გადავწყვიტეთ, დავბრუნებულიყავით, მაგრამ ეს ბოლო გემი იყო. მაშინ მოვიფიქრეთ, მეზღვაურებისათვის გვეკითხა. შემოვირბინეთ ყველა კუთხე–კუნჭული. ამ დროს გვაცნობეს, რომ ისინი მეორე გემზე იყვნენ. მათ მთელი ღამე გემბანზე გაუტარებიათ, ჩემს შვილს ლაბადაში ბავშვი გაუხვევია, თვითონ კი მთელი ღამე პერანგის ამარა დარჩენილა.

კიდევ ერთი რამ მინდა გავიხსენო: ასეთი დიდი ტრაგედია ტრიალებდა ირგვლივ და ზღვა თითქოს გაყინულიყო, საფირონისფერი ტალღები თითქოს გაშეშებულიყო. ჩვენს გემს დელფინები მოჰყვებოდნენ, თითქოს გვიცავდნენ, გვმფარველობდნენ. ჩამოვედით ფოთში. აქაც მღელვარე სიტუაცია დაგხვდა: ერთ მხარეს ზვიად გამსახურდიას მომხრეები იყვნენ, მეორეზე – ედუარდ შევარდნაძის. მოვიდა მატარებელი, მაგრამ ასვლა შეუძლებელი იყო. წავედი მერიაში, წარვუდგინე თავი. იქ ავიაციის ერთმა ჩინოსანმა მითხრა, მე მივფრინავ და წაგიყვანთო. მე, რასაკვირველია, ხალხის საკმაოდ გრძელი (ათ კაცამდე) „კუდი“ გავიყოლე და ასე აღმოვჩნდით თბილისში.

აქ ჩამოსულებს შორის კულტურის ბევრი მუშაკი აღმოჩნდა.ხალხს ძალიან უჭირდა. გადავწყვიტეთ აღგვედგინა სტრუქტურები: ამუშავდა ჩვენი თეატრი, ანსამბლი, მუსიკალური სკოლები, სამხატვრო და მუსიკალური სასწავლებლები, მოკლედ, კულტურის არც ერთი მოღვაწე უმუშევარი არ დარჩენილა. დიდი დახმარება გაგვიწიეს ადგილობრივებმა. გარკვეულ წარმატებებს მივაღწიეთ კიდეც. სიამოვნებით ვიხსენებ იმას, რომ ჩვენ პირველებმა ჩვენი ძალებით აღვნიშნეთ პატრიარქის აღსაყდრების თარიღი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

ჩვენთან ბევრი მოდიოდა დახმარების სათხოვნელად და ჩვენც შეძლებისდაგვარად ცდას არ ვაკლებდით. დიდი ბედნიერებაა, როცა შეგიძლია ვიღაცას დაეხმარო და მის სახეზე სიხარული იხილო.

ცხოვრება გრძელდება. ძალიან მიხარია, რომ ასეთი ცენტრი შეიქმნა. დიდი ბრძოლის გადატანა მოგვიხდა, სამაგიეროდ შესაძლებლობა მოგვეცა ბევრ კარგი საქმე გვეკეთებინა. ხალხს მოსწონს, რომ ჩვენ მათ მშვენიერებასთან, ამაღლებულთან შეხების საშუალებას ვაძლევთ, რწმენას განვუმტკიცებთ.

ჩვენ პატრიარქმა გვაკურთხა.

ნელი გურგენიძე, ასოციაციის თანათავმჯდომარე:

– სულიერებისა და კულტურის ცენტრი ძალიან მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა. ბიულეტენი, რომელსაც ის ყოველთვიურად გამოსცემს მოწმობს მის ნაყოფიერ საქმიანობას. გილოცავთ, ქალბატონო სვეტლანა. თქვენ ძალიან კარგად უძღვებით ამ საქმეს. მოხარული ვიქნებით თუ მომავალში თქვენთან ერთად კონკრეტული ღონისძიებებს განვახორციელებთ.

შეხვედრაზე ასოციაციის ხელმძღვანელობამ აღნიშნა ის ღვაწლიც, რისთვისაც მზია ხეთაგური დაჯილდოვდა და ორივე ქალბატონს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

მოწვეულმა სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ ეთერ ასტემიროვა, ჟურნალისტი თენგიზ პაჭკორია და სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლები, გულთბილი მიღებისათვის მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს.

„პირველად იყო სიტყვა...“

„.. ყოველი საიდუმლო
ამას ენასა შინა დამარხულ არს“
იოანე ზოსიმე

ვაჟა-ფშაველა

ღაქე მთაში...

დაღამდა... წვრილნი ვარსკვლავნი
აუვაედნენ, დასხდნენ ცასედა;
მთვარე-კი ჯერ არსადა სჩანს,
არ დაგენათოის თაფხედა,
ჯერ თუ არ გაულვიძნია,
ისევ თუ სძინავს მკლავზედა!
ჯერ გამარჯვება არ უთქვამს
შემომჯდარს ფორის ფხაზედა,
სხიენი არ დაუზაენიან
პირის საბანად წალზედა.
მზავრს უჭირს ბნელით გამოსვლა,
დადგომა სწორეს ზზაზედა.

მთებს ჩაუცვიათ შავები,
ჭმუნვით დასცქერენ ხევებსა;
ცივს ნიავს შესთავხობენ
უფსკრულს მოარულს დევებსა;
ტეისთვისაც ძაძა ჩაუცვამს
სიბნელეს დანატევებსა.

ფორით-ფორს ბუი ვასძახის,
თრთიან ეკავილნი მთებისა,
ქოჩორს უვარცხნის ნიავი,
დარაჯად დაადგებისა.
მითამ იციან ღაეღუვი,
რად არ ჭეფს ჯოვი მკლებისა?!

წალი სჩქეფს, ხევი ჩატირის,
ვანა ერთი და ორია:
აქაც, იქ, იმას იქითაც,
საცა ფერცხალა ფორია,
ლამაზის მთების ასულთა
ხმა ხმისთვის შაუწონია,
მადლი შენ, ეველა ერთმანეთს,
უფალო, დაუმონია;
ამაზე ტურფა და კარგი
მე სხვა აღარა მფონია!...

ხევი მთას ჭმონებს, მთა — ხევსა,
წალნი — ტეეს, ტეენი — მდინარეთ,
ეკავილნი — მიწას და მიწა -
თავის აღზრდილთა მცინარეთ.
და მე ხომ ეველას მონა ვარ,
პირზე ოფლ- ვადამდინარედ!

ეხლა ცა წუნარობს... სოფელსაც
გულწუნარად დაეძინება.
უეცრად შუაღამისას
ცას ჯანღი დაეფინება,
შავი ზღვის შავი ვეშაპი
პირღია დაგვეღირება,
ჩვენ, მოსვენებით მძინარეთ,
საჭმელად დაგვეპირება.
მოჰსქდება ქარი და ღვარი,
სდგას ლეწა-მტვრევა ბრძოლისა;
დროება ჩამოვარდილა
დიდი შიშის და ძრწოლისა.
მთელი მთა-ბარი იქცევა,
მეორ-მოსვლაა სწორედ!
მოჰკაწრავს ღვარი ტეე-კლდეებს,
მოაქეს და მოსდგამს ეორედ.

ბუნება მბრძანებელია,
ივივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა,
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეორის და შავისა;
საცა პირიმზეს ანარეს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
მაინც-კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჭეკავისა!...

წმიდა ამბროსი აღმსარებელი (ხელაია) — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი — ბერძენთა 16 (29) მარტი

წმიდა ამბროსი აღმსარებელი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (ერისკაცობაში — ბესარიონ ხელაია) დაიბადა 1861 წელს. დაწყებითი განათლება სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მიიღო, შემდეგ კი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1885 წელს. იგი იყო უაღრესად მოყვარე თავისი სამშობლო ქვეყნის, თავისი ერის, ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიისა. წმიდა ამბროსი დიაკვნად აკურთხა სოხუმის ეპისკოპოსმა. მალე მღვდლად დაასხეს ხელი. ის რვა წელი მოძღვრობდა სოხუმში, სკოლებში ასწავლიდა ქართულ ენას, ხელმძღვანელობდა სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებებს; 1896 წელს დაქვრივდა; 1897 წელს შევიდა ყაზანის სასულიერო აკადემიაში.

მისი ნაცნობები იგონებდნენ, რომ ის იყო ნიჭიერი, უაღრესად პატიოსანი, კეთილი, სათნო და ერთგული ადამიანი. ყაზანში მყოფი, თვალყურს ადევნებდა საქართველოს ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებას, ქართველთა ბრძოლას ეროვნული თვითგამორკვევისათვის; ჩვენი ისტორიის პირველწყაროებზე მუშაობდა და მომზადებული ჰქონდა რამდენიმე ისტორიული თუ სხვა ხასიათის ნარკვევი. მისმა საკანდიდატო დისერტაციამ „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“ ისეთი ყურადღება დაიმსახურა, რომ პროფესორს უთხოვია, შეევსო ზოგიერთი თავი და წარედგინა მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. წმ. ამბროსიმ 1901 წელს სწავლა დაამთავრა, იმავე წელს ბერად აღიკვეცა და საქართველოში დაბრუნდა.

სამშობლოში დაბრუნებული ღირსი მამა, ერის სხვა საუკეთესო შვილებთან ერთად დაუღალავად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ამის გამო 1905 წელს რუსეთში გადაასახლეს. სამშობლოში კვლავ დაბრუნების შემდეგ მას ჭელიშის მონასტრის წინამძღვრობა დაევალა.

ჭელიშის მონასტერი თავის დროზე მთელი რაჭის საღმრთო სწავლა-განათლების კერა იყო, მაგრამ გავიდა ჟამი და მონასტერს შემოაკლდა მოწაფეები, შემდეგ კი თანდათან გაუდაბურდა. მამა ამბროსიმ იმერეთის ეპისკოპოსის, ლეონიდეს ნებართვით მონასტერში დაიწყო სემინარიელების მომზადება. ისწავლებოდა გალობა, საღმრთო წერილის კითხვა. მამა ამბროსიმ ბევრი იღვაწა ოდესღაც უმდიდრესი ჭელიშური ხელნაწერების მოსაძიებლად და აღსადგენად. ერთხელ ეკლესიის ეზოში არგნით გამოსული წინამძღვრის ყურადღება მიიპყრო ყრუ ხმამ, რომელიც მიწის სიღრმიდან ამოდიოდა, გაათხრევინა ის ადგილი და უძველესი სახარება აღმოაჩინა. შემდგომ მუშაობდა თბილისში, სინოდალური კანტორის წევრად, მოკლე ხანში კი ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარი გახდა.

1908 წელს მამა ამბროსის საშინელი ცილი დასწამეს: ბრალად დასდეს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობა და რუსეთში გადაასახლეს. მას მღვდელმსახურება აუკრძალეს და გაგზავნეს რიაზანის სამების მონასტერში, სადაც ერთ წელზე მეტი სასტიკი რეჟიმის ქვეშ გაატარა.სრულიად რუსეთის წმიდა სინოდი უგულებელსყოფდა არქიმანდრიტის ყოველ თხოვნას სამშობლოში დაბრუნების შესახებ.ბოლოს, 1917 წელს, წმ. ამბროსი დაბრუნდა საქართველოში და კვლავ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა.

1917 წლის თებერვალში რუსეთში მომხდარმა გლობალურმა ცვლილებებმა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ხელსაყრელი მომენტი შექმნა.

1917 წლის 12 (25) მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო 16 მარტს თბილისში შედგა სასულიერო მოღვაწეთა კრება, რომელმაც დაადგინა, რომ ამიერიდან სიონის ტაძარში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე უნდა აღსრულებულიყო. წმ. ამბროსი ჯერ ჭყონდიდის, შემდეგ კი აფხაზეთის მიტროპოლიტად გაამწესეს.

1921 წელს იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს კვლავ დადგა მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენს სამშობლოში ფეხის შემოდგმის დღიდანვე დაიწყო სარწმუნოების დევნა. მთავრობა ცეცხლითა და მახვილით მოედო ეკლესიებს, დაანგრია და გააუქმა1200 ტაძარი, დაატუსაღა და დახვრიტა მრავალი სასულიერო მოღვაწე.

ერის სულიერმა მამამ და მწყემსმა 1922 წლის 7 თებერვალს გენუის კონფერენციის წარმომადგენლებს გაუგზავნა მემორანდუმი, რომლის თითოეული სიტყვა არა მხოლოდ სამშობლოს სიყვარულითა და ჭირისუფლობით არის განმსჭვალული, არამედ მასში წინასწარმეტყველურად არის დანახული ქრისტიანული სათნოების გარეშე დარჩენილი ერისა და სახელმწიფოს ბედი, მისი უნუგეშო მომავალი.

ოციანი წლების კომუნისტური დესპოტიზმის ხანიდან მოკიდებული, როცა ჭეშმარიტების ნიღბით სიცრუე და ბოროტება ჭეშმარიტებას, სიმართლესა და უმაღლეს სათნოებებს დევნიდა, სიმართლის დაცვა ხშირად საკუთარ სიცოცხლეზე უარის თქმას ან თავისუფლების დაკარგვას ნიშნავდა. გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნა უპრეცედენტო შემთხვევა იყო. ამ ფაქტს მთავრობა გულხელდაკრეფილი არ შეხვედრია და მალე წმიდა ამბროსი დააპატიმრეს. სასამართლო პროცესზე პატრიარქთან ერთად საკათალიკოსო საბჭოს წევრებიც განისჯებოდნენ. მათ ბრალად დასდეს: გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმის გაგზავნა, საქართველოს

(გაგრძელება მე-7 გვ.)

(დასაწყისი მე-6 გვ.)

ეკლესია-მონასტრების საგანძურის გადამალვა, სამხედრო ტაძრის კომკავშირისათვის გადაცემისა და სატრაპეზოს დაშლის პროცედურაში საპატრიარქოს წარმომადგენლის გამოუცხადებლობა.

სამსჯავროზე წმიდა ამბროსის სიტყვები და მხილება ყველას მოაგონებდა ძველ ქრისტიანთა თავდადებასა და შეუპოვრობას. ის თამამად ამხელდა მთავრობას ბოროტებაში, უსამართლობაში, მკრეხელობაში. ერთ-ერთ დაკითხვაზე პატრიარქმა თქვა: „სარწმუნოება არის ხალხის სულიერი მოთხოვნილება. დევნულობა ამ მოთხოვნილებას უფრო აძლიერებს. ის ღრმავდება, იკუმშება და გუბდება და ამოხეთქავს გაძლიერებული ძალით. ასე იყო ყველგან, ასე იქნება ჩვენშიც, საქართველო არ იქნება გამონაკლისი საზოგადო კანონებიდან“.

სასამართლო პროცესის ბოლოს, მსჯავრდებულის საბოლოო სიტყვაში წმ. ამბროსიმ ჯალათებს უთხრა: „სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული — საქართველოს, გვამს კი, რაც გნებავთ, ის უყავით“.

სასამართლომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შვიდი წლით, ცხრა თვითა და ოცდარვა დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 1924 წლის ბოლოს გამოცემული ამნისტიით ამბროსის და საკათალიკოსო საბჭოს წევრებს სასჯელი მოუხსნეს, მაგრამ უკვე ხანში შესულ და ჯანგატეხილ ერის მამას დიდხანს აღარ უცოცხლია: იგი სამი წლის შემდეგ, 1927 წელს გარდაიცვალა.

1994 წელს საქართველოს ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე განიხილეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას ცხოვრება. ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის იგი შერაცხილ იქნა წმიდათა დასში ამბროსი აღმსარებლის სახელით, იქვე წარმოადგინეს მისი ხატი და ხსენების დღედ 16 (29) მარტი განაწესეს.

„წმიდათა ცხოვრებანი“, წ. I, თბილისი, 2008 წ.

საეკლესიო კალენდარი

2 მარტი (ოთხშ.) – ღირ. მოწამე თევდორე აჭარელის ხსენება (XVIII-XIXს.ს.);
3 მარტი (ხუთშ.) – ღირ. შიო მღვიმელის ხსენება, შიოობა;
5 მარტი (შაბ.) – ყოველთა ღვაწლით გაბრწყინებულთა ღირსთა მამათა ხსენება;
6 მარტი, ყველიერის – მიტევების კვირა – სამოთხიდან ადამის განდევნის ხსენება;
(წმ. იოანე ოქროპირის წირვა)
დიდი მარხვის აღება!
7 მარტი (ორშ.) – ცხრათა ყრმათა კოლაელთა ხსენება;
დიდი მარხვის დასაწყისი!
9 მარტი (ოთხშ.) – წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პირველად (IV) და მეორედ (452წ.) პოვნა;
(პირველშეწირულის ლიტურგია)
12 მარტი (შაბ.) – დიდმოწამე თეოდორე ტირონის ხსენება;
(წმ. იოანე ოქროპირის წირვა)
13 მარტი, დიდი მარხვის I კვირა – მართლმადიდებლობის ზეიმი;
(წმ. ბასილი დიდის წირვა)
16 მარტი (ოთხშ.) – წმ. იოანე კათოლიკოსის ხსენება (1049წ.);
(პირველშეწირულის ლიტურგია)
19 მარტი (შაბ.) – მღვდელმოწამე დოსითეოზის, ქუთათელი მიტროპოლიტის ხსენება;
– მიცვალებულთა ხსენება
(წმ. იოანე ოქროპირის წირვა)
20 მარტი, დიდი მარხვის II კვირა – წმ. გრიგოლი პალამას, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსის ხსენება (დაახ. 1360წ.);
22 მარტი (სამშ.) – 40 მოწამეთა, სებასტიის ტბასა შინა წამებულთა ხსენება (დაახ. 320წ.);
(პირველშეწირულის ლიტურგია)
23 მარტი (ოთხშ.) – ღირ. იოანე ხახულელის (ოქროპირად წოდებულის) ხსენება (X-XIს.ს.);
(პირველშეწირულის ლიტურგია)
25 მარტი (პარ.) – საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე (1917წ.);
– წმ. მეფის დემეტრე თავდადებულის ხსენება (1289წ.);
– წმ. გრიგოლ დიალოღონის (რომის პაპის) ხსენება (604წ);
– ღირ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველის ხსენება (1021წ.).
(პირველშეწირულის ლიტურგია)
27 მარტი, დიდი მარხვის III კვირა – ჯვრის თაყვანისცემის კვირა;
(წმ. ბასილი დიდის წირვა)
29 მარტი (სამშ.) – წმ. ამბროსი აღმსარებლის (ხელაიას) ხსენება (1927წ.);
30 მარტი (ოთხშ.) – დიდი მარხვის განზოგება. ღირსი გაბრიელ მცირის ხსენება (1802წ.).

ჩვენი მოძღვარი

(კითხვა-პასუხი სულიერი ცხოვრების შესახებ)

დიდი მარხვა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული

– რატომ აღინიშნება აღდგომის დღესასწაული ყოველ წელს სხვადასხვა დროს, და რატომ ხდება აღდგომის თვისა და რიცხვის თანხვედრა გარკვეული პერიოდის შემდეგ?

– აღდგომის დღესასწაული ძვ. სტ-ით 22 მარტიდან 25 აპრილის ჩათვლით მოიწევა. ზემოაღნიშნული, საეკლესიო სწავლებას ეფუძნება, რომლის თანახმადაც პასექის თარიღის დადგენისათვის ოთხი პირობის დაცვაა აუცილებელი:

1. პასექი იდღესასწაულება გაზაფხულის ბუნიობის დღის (ძვ. სტ-ით 21 მარტის) შემდეგ;

2. შემდგომად პირველი სავსემთვარობისა (მთვარის მე-14 დღე), რომელიც გაზაფხულის ბუნიობის (დღეღამტოლობის) დღეს ან მის შემდგომ მოიწევა (რომელსაც საპასექო სავსემთვარობა ეწოდება);

3. კვირა დღეს, რომელიც საპასექო სავსემთვარობის შემდგომ მოიწევა;

და ბოლოს,

4. არ უნდა დაემთხვეს იუდეველთა პასექს (ასევე არ უნდა მოიწიოს მასზე ადრე).

ქრისტიანული პასექის აღსრულების უადრესი და უგვიანესი ვადების შესახებ სწავლება, უაღრესად ნათლად არის წარმოჩენილი წმ. იოანე ოქროპირის მიერ, რომლის მიხედვითაც:

– თუ სავსემთვარობა 20 მარტს მოიწევა, ჩვენ დაუტევებთ მას და მომდევნო სავსევმთვარობას დაველოდებით, ხოლო თუ სავსემთვარობა 21 მარტს ან მის შემდგომ უახლოეს დღეებში მოიწევა, ჩვენ მას ვღებულობთ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სავსემთვარობისას არ უნდა იყოს კვირა დღე, ხოლო შვიდეულის სხვა დღე კი მისაღებია. მაშინ ცხადია, რომ თუ 21 მარტს (დღეღამტოლობისას) მოიწევა სავსემთვარობა (მთვარის მე-14 დღე), და ეს დღე დაემთხვევა შაბათს, უადრესი თარიღი ქრისტიანული პასექისა 22 მარტი – კვირა დღე იქნება. ამდენად, აღდგომის დღის განსაზღვრისას მარტის სავსემთვარობა, რომელიც 21 მარტზე ადრე მოიწევა, მაგალითად 19 მარტს, არ ითვლება საპასექოდ. ამგვარად, თუ მარტის სავსემთვარობა 19 მარტს დაემთხვა, ჩვენ დავუტევებთ მას და დაველოდებით სავსემთვარობას, რომელიც 30 დღის შემდეგ – 18 აპრილს მოიწევა. ამასთან, თუ 18 აპრილი (ე.ი. სავსემთვარობა) კვირა დღეს დაემთხვევა, აღდგომის დღე მომდევნო კვირა – 25 აპრილი იქნება, რომელიც არის კიდეც ქრისტიანული პასექის უგვიანესი ვადა (წმ. იოანე ოქროპირის თხზულებათა ტ.8. წგ.2. გვ. 968-970).

რაც შეეხება აღდგომის თარიღის განმეორებადობის საკითხს, იგი პასქალიაში გამოყენებული პასქალურ-კალენდარული ციკლებით (4-წლიანი, 28-წლიანი „მზის ციკლი“, 19-წლიანი „მთვარის ციკლი“, 532-წლიანი ციკლი – დიდი ინდიქტიონი) არის განპირობებული, რის გამოც მეორდება მთვარის ფაზების, კვირის შვიდეულის დღეებისა და თვის რიცხვების განლაგება, ანუ აღდგომის დღესასწაული ხდება პერიოდული. ასე მაგალითად (ძვ. სტ-ით) აღდგომის დღე მოიწევა:

– 22 მარტს – 319, 414, 509, 604 და ა.შ. წლებში;
– 29 მარტს – 313. 324, 403, 408 და ა.შ. წლებში;
– 1 აპრილს – 294, 305, 367, 378 და ა.შ. წლებში;
და სხვა.

საპასექო გამოთვლათა თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობით, პასქალისტების მიერ აღდგომის დღის საანგარიშო „სამარადისო“ ცხრილი იქნა შემუშავებული (იხ. ქვემოთ), რომლის მიხედვითაც ნებისმიერ მკითხველს (რომელიც ელემენტარულ არითმეტიკულ მოქმედებებს ფლობს) შეუძლია თავადაც გამოთვალოს ამა თუ იმ კალენდარული წლის აღდგომის თარიღი. ამ ცხრილით სარგებლობისას მოცემული კალენდარული წლის რიგითი ნომერი (N) 28-ზე და 19-ზე უნდა გაიყოს. 28-ზე გაყოფის ნაშთები ზევით – ჰორიზონტალურ სვეტში უნდა ვეძიოთ, ხოლო 19-ზე გაყოფის ნაშთები კი ცხრილის მარცხენა მხარეს – ვერტიკალურ სვეტში. მიღებული ამ ორი რიცხვის (ანუ ნაშთების) შემცველი ვერტიკალისა და ჰორიზონტალის გადაკვეთაზე მდებარე რიცხვი, აღდგომის დღის მაჩვენებელი იქნება.

	28-ზე გაყოფის ნაშთები														
		5		0		1		7				3			
	0	6	1	7	6	2	3		2	8	9	4	4	5	
19-ზე გაყოფის ნაშთები	15	24		23		22		28		27		26		25	მარტი
	4	24		23		29		28		27		26		25	
	12	31		30		29		28		27		26		25	
	1	31		30		29		28		27		26		1	აპრილი
	9	31		30		29		28		3		2		1	
	17	31		30		5		4		3		2		1	
	6	31		6		5		4		3		2		1	
	14	7		6		5		4		3		2		8	
	3	7		6		5		4		3		9		8	
	11	7		6		5		11		10		9		8	
	0	7		6		12		11		10		9		8	
	8	14		13		12		11		10		9		8	
	16	14		13		12		11		10		16		15	
	5	14		13		12		11		17		16		15	
	13	14		13		19		18		17		16		15	
	2	14		20		19		18		17		16		15	
	10	21		20		19		18		17		16		22	
	18	21		20		19		18		24		23		22	
	7	21		20		19		25		24		23		22	

შენიშვნა: ამ ცხრილის მათემატიკური ანალიზიდანაც ნათლად წარმოჩინდება, თუ რატომ ხდება აღდგომის თვისა და რიცხვის თანხვედრა გარკვეული პერიოდულობით.

– დიდმარხვის პერიოდის მსახურება განსხვავდება მთელი საეკლესიო ციკლის, ასევე ქრისტეშობის, პეტრე-პავლობის და მარიამობის მარხვათა მსახურებათაგან. რას ვიტყოდით ამის შესახებ?

– აღნიშნული საღმრთისმსახურო-ლიტურგიკული განსხვავება ხსენებულ უდიდეს დღესასწაულთა საღმრთისმეტყველო მნიშვნელობიდან მომდინარეობს.

წმიდა ეკლესია უდიდეს დღესასწაულთა დაწესებით, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების არსს, საღმრთო აღმშენებლობის გზას წარმოაჩენს, რითაც საშუალებას აძლევს თითოეულ მორწმუნეს (ეკლესიის წიაღში) ღვთაებრივი ცხოვრების თანაზიარი გახდეს.

დიდი დღესასწაულების განხილვისას უცილობლად ორი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ:

1) თუ რა მოხდა (მაშინ) ისტორიულად, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულებით, და

2) რა ხდება ახლა, ჩვენთვის, საღმრთო აღმშენებლობით.

განვმარტავთ, რომ ყოველივე ის, რაც აღსრულდა ადამიანთა ხსნისათვის (განკაცება, ნათლისღება, ჯვარზე ვნება, მკვდრეთით აღდგომა და ამაღლება), ადამიანურ ბუნებას ეხებოდა – დაცემული კაცობრივი ბუნების აღდგენას, რომელიც მთელ სისრულეს მაცხოვრის ზეცად ამაღლებისას იძენს. ხოლო ყოველივე ის, რაც ახლა ხდება ჩვენთვის, მართლმადიდებლური ეკლესიის საიდუმლოებებში მონაწილეობით, პიროვნებას ეხება და ადამიანის არჩევანზეა დამოკიდებული.

ამგვარად, ხსენებულ მარხვათა და სადღესასწაულო ღვთისმსახურებებში მონაწილეობით, საღმრთო ისტორიის ლიტურგიკული თხრობის თანამონაწილენი ვხდებით, თანაზიარნი ვხდებით ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულებისა რაც კონკრეტულ სადღესასწაულო მსახურებაშია წარმოჩენილი.

– დიდმარხვისა და ზატიკის პერიოდები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და მრავალ მორწმუნეს უჩნდება სურვილი უფრო მეტად ჩაწვდეს მათ მისტიკურ მხარეს, რათა უფრო მომზადებული შეხვდეს ამ პროცესების დაწყებას. თუ შეიძლება, გვესაუბრეთ ყოველივე ამის შესახებ.

– დიდი მარხვის პერიოდი განსაკუთრებული დროა თითოეული მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრებაში. ეს არის დრო საკუთარი თავის უკეთ შეცნობისა, დრო სინანულისა და ცოდვებისაგან განწმენდისა, დრო ლოცვისა და მარხვისა, ქველმოქმედებისა თუ სხვა სათნოებათა აღსრულებისა.

დიდი მარხვა საპასექო წლის მესამე, ბოლო პერიოდს მიეკუთვნება და იგი პირობითად სამ ქვეპერიოდად იყოფა: I პერიოდი – დიდი მარხვის მოსამზადებელი პერიოდი, ოთხ კვირა დღეს და სამ შვიდეულს მოიცავს. იგი მეზვერისა და ფარისევლის კვირის მსახურებით იწყება და ყველიერის კვირით სრულდება; II პერიოდი, ანუ საკუთრივ დიდი მარხვის პერიოდი, ექვს კვირა დღეს მოიცავს და ბზობის კვირით მთავრდება; III პერიოდი კი ვნების შვიდეული გახლავთ.

ვნების შვიდეული, მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი დღეების გახსენებას ეძღვნება: საიდუმლო სერობას, მის გაცემას, პილატეს სამსჯავროს, ჯვარზე ვნებას, სიკვდილსა და საფლავად დადებას, რის გამოც ეს შვიდეული ვნების შვიდეულად იწოდება.

ვნების შვიდეულის პირველ სამ დღეს (ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს) ღვთისმსახურებისას ოთხივე სახარება იკითხება, რათა თითოეული განიმსჭვალოს სახარებისეული სიბრძნით, რაც გახლავთ კიდეც ერთ-ერთი უცილობელი პირობა სულიერი გამოღვიძებისა, ფერისცვალების დაწყებისა, ადამიანთა განღმრთობისა. ამ დღეებში მორწმუნეთა ზიარებისათვის პირველშეწირულის ლიტურგიაც აღესრულება.

დიდი ხუთშაბათის მსახურებაში მოთხრობილია იმ მოვლენებზე, რომლებიც წინ უსწრებდა მაცხოვრის ვნებას. კონკრეტულად: მოწაფეებთან ერთად ბოლო პასექის აღსრულება, ფეხთბანვა, ევქარისტიის საიდუმლოს დაწესება და იუდას მიერ მაცხოვრის გაცემა.

დიდი პარასკევის მთელი მსახურება მაცხოვრის ჯვარზე ვნების გახსენებას ეძღვნება და უდიდესი მწუხარებით არის განმსჭვალული. ცისკრის ჟამნზე თორმეტი ვნების სახარება იკითხება. ამასთან, დღის მსახურების თითოეული ჟამნი ნათლად წარმოაჩენს მაცხოვრის ვნების სხვადასხვა სახეს – გეთსამანიის ბაღში სისხლით განზავებული ოფლით დაწყებული, გოლგოთაზე მისი ჯვარზე აღსრულებით დამთავრებული. თითოეული საგალობელი თუ საკითხავი სინანულის ცრემლითაა აღსავსე, გულის შემძვრელია და ცოდვის შემმუსვრელი, ამავე დროს იმედის ჩამსახველიც.

დიდ შაბათს წმიდა ეკლესია იხსენებს მაცხოვრის საფლავად დადებას, ხორციელად საფლავში ყოფნას, ხოლო განღმრთობილი სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და მართალთა სულების გამოხსნას, და მამასა და სულიწმიდასთან განუშორებლად თანამყოფობას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიდი შაბათის მსახურება გამშვენებულია ურთიერთსაპირისპირო სულიერ განცდათა საოცარი გამით: მწუხარებითა და სიხარულით, ცრემლითა და სულიერი აღმაფრენით, გულისტკივილითა და სულიერი გაცისკროვნებით.

და აი დგება ყველაზე ნანატრი დღე, მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღე, საპასექო „ახალი წელი“, რომელიც არის დღე:

– სიკვდილიდან სიცოცხლეში გადასვლისა;

– მიწიდან ზეცად ამაღლებისა;

– სულიერი გაზაფხულის დადგომისა;

– საყოველთაო აღდგომის „დასაწყისისა“ (მეორედ მოსვლის ჟამს ყოველი ადამიანის მკვდრეთით აღდგომის მომნიჭებელი);

– დაცემული კაცობრივი ბუნების აღდგენისა (რომელიც მთელ სისრულეს მაცხოვრის ზეცად ამაღლებისას იძენს) და ა. შ.

აღდგომიდან ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე არსებულ საღმრთისმსახურო ინტერვალს ზატიკის პერიოდი ეწოდება. საეკლესიო მსახურებათა წლიურ ციკლში ზატიკის პერიოდი განსაკუთრებული საზეიმო ხასიათით და თავისებურებით გამოირჩევა, რაც დაკავშირებულია მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომასთან და მის შემდგომ პერიოდთან,

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

ამაღლებისა და სულთმოფენობის დღესასწაულთა ჩათვლით.

ზატიკის პერიოდი პირობითად სამ ნაწილად იყოფა: 1. ბრწყინვალე შვიდეული; 2. თომას კვირიდან აღდგომის წარგზავნამდე; 3. ამაღლებიდან ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე. აღნიშნული პერიოდის ღმრთისმსახურება საოცარი თავისებურებებით გამოირჩევა, რაზეც, ალბათ, სხვა დროს ვისაუბრებთ.

და ბოლოს, ზემოთქმულთან დაკავშირებით დავძენთ, რომ თითოეული მორწმუნე განსაკუთრებით უნდა ცდილობდეს მონაწილეობა მიიღოს დიდი მარხვის I შვიდეულის, ვნების შვიდეულისა და ბრწყინვალე შვიდეულის მსახურებებში.

– პირადად თქვენ რა მიგაჩნიათ მრევლისათვის სულიერი წარმატების აუცილებელ წინაპირობად?

– ის, რასაც ბრძანებს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, რომ თითოეული განადიდებდეს უფალს, უყვარდეს სამშობლო (მამული) და უყვარდეს მოყვასი. სხვაგვარად შეუძლებელია თანაზიარი გახდე ადამიანთა ხსნის საღმრთო აღმშენებლობის გზისა, რისი დასაწყისიც ნათლისღება გახლავთ, შუა ნაწილი – ღვთისსათნო ცხოვრება და საქმეთა სახარებისეული სწავლებით წარმართვა, ხოლო დასასრული – ვნებებზე გამარჯვება (როგორც ამას წმ. გრიგოლი პალამა შეგვაგონებს – იხ. ჰომილიები, ნაწ. I, გვ. 217).

წმიდა სამების ლავრის
მღვდელმსახური
დეკანოზი ბიძინა (გუნია)

სასარგებლო რჩევები

ახდენს თუ არა ამინდი გავლენას ჩვენს ჯანმრთელობაზე?

კლიმატოლოგთა გამოკვლევებმა დაადასტურეს ეს დამოკიდებულება. მეტეოროლოგიური სიტუაციის ცვლილებების, დედამიწის მაგნიტური ველის აღელვების (ე.წ. მაგნიტური ქარიშხლების) მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარენი გულსისხლძარღვთა, სუნთქვის ორგანოთა ქრონიკული პათოლოგიებით, ნერვული დარღვევებით ავადმყოფნი, დასუსტებული და გადაღლილი ადამიანები არიან. ეს იმით აიხსნება, რომ ავადმყოფობის დროს ადაპტაციური (შეგუების) მექანიზმები შესუსტებულია და ორგანიზმს არა აქვს უნარი სწრაფად შეეწყოს შეცვლილ გარემო პირობებს, რაც ვლინდება უხასიათობით, თავის ტკივილით, ქოშინით, ჰიპერტონიული კრიზით და სხვა ე.წ. მეტეოპათიური რეაქციებით. ჯანმრთელი ადამიანების ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები კი დროულად ეგუებიან შეცვლილ გარემო პირობებს. ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობის მომატებით ძლიერდება თავის ტვინის ფუნქციური აქტივობა, დამცველობითი უნარი. ამიტომ, როგორც წესი, ჯანმრთელი ადამიანები ამინდის უარყოფით გავლენას ვერ გრძნობენ.

მხოლოდ ზუსტი მეტეოროლოგიური პროგნოზის შემთხვევაშია შესაძლებელი მეტეოპათიური (ატმოსფეროში მიმდინარე პროცესებით გამოწვეული არაჯანსაღი, პათოლოგიური) რეაქციების პროფილაქტიკა, რომლის ღონისძიებების ჩატარება არასასურველი ამინდის დადგომამდე, წინა დღით მაინც უნდა დაიწყოს. ეს კი უხშირეს შემთხვევაში ვერ ხერხდება ან ამინდის

მეტეოროლოგიური ფაქტორები	ადამიანის ორგანიზმი
ატმოსფერული წნევა	იმუნოლოგიური დაცვის დაქვეითება
ჰაერის ტემპერატურა ტენიანობა	ცენტრალური ნერვული სისტემის რეაქციების შენელება
ჟანგბადის შემცველობა	გულისა და სისხლძარღვების ფუნქციური გადატვირთვა
დედამიწის მაგნიტური ველის აღელვების ხარისხი	საჭმლის მონელების დარღვევა
ატმოსფეროს დაჭუჭყიანება გრავიტაციული ურთიერთობანი მზის სისტემაში	შრომის უნარის დაქვეითება

სწორი პროგნოზის არარსებობის, ან ჩვენი არაინფორმირების გამო. თუმცა სულაც არაა აუცილებელი, ასეთ არაკეთილსაიმედო ბუნებრივ პირობებშიც კი გამწვავდეს დაავადება, იგრძნოთ თავი ცუდად, ან დაგიქვეითდეთ შრომის უნარი. წინასწარ ნუ განეწყობით ამისათვის. ამინდის ცვლილებასთან დაკავშირებული პირველივე ნიშნების გამოჩენასთან ერთად შეგიძლიათ მიიღოთ მედიკამენტების პროფილაქტიკური დოზები (მკურნალი ექიმის მიერ შერჩეული), დაისვენეთ, მიიღეთ მსუბუქი საკვები, თუ გულმა გარეთ გაგიწიათ, სუფთა ჰაერზე გასეირნება ნამდვილად გარგებთ, გზად ტაძარი თუ შეგხვდათ, შედით და მის სიმყუდროვეში გარინდებულმა სიმშვიდე შეუშვით თქვენს გულში, თუ თქვენს მეტეოპათიას ქარი განაპირობებს, სახლის ჩვეულ გარემოში დარჩენა ჯობს, მოუსმინეთ საგალობლებს ან წყნარ კლასიკურ მუსიკას, შეეცადეთ არავისთან იკამათოთ, თუ დაღლილობას ან ფიზიკურ სისუსტეს იგრძნობთ, იქნებ დაძინებაც გეცადათ, ან პირიქით, საყვარელი ხელსაქმით ან ხელობით შეგექციათ თავი.

„საეკლესიო სამედიცინო
კალენდარი 2010“
ავტორი და ხელმძღვანელი
არქიმანდრიტი
ადამი (ახალაძე)

გყლთბილი შეხვედრა

ოშკი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი